„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაი“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2021 წელი ● №11-12 (9505-9506) ● 1-30 ივნისი ● ფასი 1 ლარი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ბავშვთა დაცვის დღე სენაკში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 27-ე საბავშვო და ბაგა-ბაღში, ღია ცის ქვეშ, რეგულაციების დაცვით, სახალისო და სანახაობრივად მრავალფეროვანი აქტივობებით აღინიშნა.

ღონისძიებას მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი ალექსანდრე ჯანჯღავა და ამავე სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ბავშვთა დაცვის დღე სენაკში, ქალაქის ცენტრალურ სკვერში დაგეგმილი აქტივობა - მხიარული ანიმატორების გასართობმა პროგრამამ დაასრულა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 2009 წლიდან, მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნება. ამ დღეს იმართება აღსაზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, დღის გმირების საზეიმო მსვლელობა წითელ ხალიჩაზე, გალა-კონცერტი - საბავშვო და ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისა და პედაგოგების მონაწილეობით

შხეფის ციხემდე მისასვლელი გზა

სენაკში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი დასრულდა - ეს სახოკიას ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტია, რომლის ღირებულებამ 91 049 ლარი შეადგინა.

განახლებული ინფრასტრუქტურით, მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სივრცე შეემატა.

ლევან კუპრეიშვილის მერობის პერიოდში, 2017-2020 წლებში, 500-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის, 2017-2020 წლებში, ქალაქად რეაბილიტირდა 75 ქუჩა, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში - 54.

მიუხედავად პანდემიით შექმნილი საყოველთაო დამაბრკოლებელი გარემოებებისა, მიმდინარე წელსაც, სენაკის მუნიციპალიტეტში, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პარალელურად, კეთილმოწყობის სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად ხორციელდება

პანდემიასთან ბრძოლის მეთოდიკა განიხილეს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, თემაზე - „COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვისა და იმუნიზაციის მართვის წესები“, ოჯახის ექიმებისთვის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან სანაძემ ტრენინგი გამართა.

შეხვედრას, რომელიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით წარიმართა, მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის ექიმები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ჩვენი დროის გლობალურ გამოწვევასთან - კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის მეთოდიკა, დღეისთვის, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული კოვიდსტატისტიკა და COVID 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის, როგორც ინფექციისგან დაცვის ეფექტური, უსაფრთხო და ულტერნატივო საშუალების მიმდინარეობის ეტაპები.

ირაკლი ხახუბია პროექტებს გაეცნო

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილესთან, გრიგოლ ბალათურიასთან და მაჟორიტარის ბიუროს ხელმძღვანელთან, შალვა სარდალიშვილთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო.

ირაკლი ხახუბიამ ახლადრეაბილიტირებული, სამი ათეული წლის შემდეგ აღდგენილი, მენჯი-სახარბედიოს დამაკავშირებელი გზა დაათვალიერა.

ასევე გაეცნო შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სადაც გზის კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, კეთილმოეწყო სახოკიას ქუჩიდან შხეფის ციხემდე მისასვლელი გზა და არსებულ მოედანზე - ასფალტობეტონის საფარი.

პროექტის განხორციელებით, სენაკს კიდევ ერთი მრავალფუნქციური, მათ შორის, ტურისტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი სივრცე შეემატა.

საქართველოს პარლამეტის წევრმა ირაკლი ხახუბიამ ასევე დაათვალიერა ჭავჭავაძის ქუჩის N35 კორპუსის მიმდებარედ, ახლადრეაბილიტირებული მინი სპორტული მოედანი.

სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები

კორონავირუსის პანდემიის გლობალური გამოწვევების ეპოქაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაციისა და ამ კუთხით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესს.

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

სენაკის მუნიციპალიტეტში დასრულდა ჭავჭავაძის ქუჩის N35 კორპუსის მიმდებარედ, მინი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტის ღირებულება 40 975 ლარს შეადგენს.

ასევე რეაბილიტირდა რუსთაველის ქუჩის N126 კორპუსის მიმდებარედ, მინი სპორტული მოედანი.

სამუშაოების ღირებულებამ 15 890 ლარი შეადგინა.

დასრულდა სასპორტო სკოლის სპორტული დარბაზისა და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 65 934 ლარი.

სამუშაოები შპს „ მშენებელმა“ განახორციელა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის ლევან კუპრეიშვილის მერობის პერიოდში, მოეწყო 10 მინი-სპორტული მოედანი:

2019 წელს რეაბილიტირდა ჭყონდიდელის ქუჩაზე, მექანიკურის დასახლებაში, მეშვიდე საჯარო სკოლისა და ჟიული შარტავას სახელობის პარკში მდებარე მინი-სპორტული მოედნები;

2020 წელს დასრულდა ყოფილი სამხედრო ქალაქის დევნილთა დასახლებასა და მშვიდობის ქუჩის N223-ში მდებარე სპორტული მოედნების მშენებლობა.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, რეაბილიტირდა სენაკის N3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მინი სპორტული მოედანი, ზანის საჯარო სკოლის მინი სპორტული მოედანი და დარბაზი.

აშენდა 2 საკალათბურთო მოედანი:

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანია „გალფის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2020 წელს დასრულდა ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობა;

2020 წელს, იუსტიციის სახლის მიმდებარედ, მოეწყო კალათბურთის მოედანი.

ასევე რეაბილიტირდა, ბუნებრივი აირით და გათბობის სისტემით უზრუნველყოფილ იქნა სენაკის სასპორტო სკოლა, ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დარბაზები; კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები; სენაკის ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

სკრინინგ პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისთვის

სენაკის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, პროექტის - „სამეგრელოს რეგიონში ეროვნული სკრინინგ პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა" ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მობილიზატორებმა - ნანა ჯიბლაძემ და კესარია გაგუამ, კიბოს პრევენციის, ადრეული გამოვლენისა და უფასო სკრინინგ პროგრამების ხელმისაწვდომობის საკითხებზე, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნატალია ხუბუა, ამავე სამსახურის წარმომადგენლები და ბენეფიციარები დაესწრნენ.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის ფარგლებში, ქალაქ ზუგდიდში, დაფუძნდა სკრინინგ ცენტრი, რომელიც კიბოს სკრინინგის სახელმწიფო პროგრამებს, 2019 წლის ნოემბრიდან ახორციელებს, რითაც სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობას ეძლევა შესაძლებლობა, სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული პროფილაქტიკური გამოკვლევები უფასოდ ჩაიტაროს.

„სამეგრელოს რეგიონში ეროვნული სკრინინგ პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა" ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, რეგულარულად განხორციელდება დაინტერესებული მოქალაქეების უფასოდ ტრანსპორტირება ზუგდიდის სკრინინგ ცენტრში, სადაც მათ ჩაუტარდებათ შემდეგი უფასო სამედიცინო გამოკვლევები:

ძუძუს კიბოს სკრინინგი - 40-დან 70 წლის ჩათვლით ასაკის ქალბატონებისთვის (ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ან წინა გამოკვლევის დასკვნის შესაბამისად), ექიმთან კონსულტაცია და მამოგრაფიული გამოკვლევა;

საშვილოსნოს ყელის გამოკვლევა - 25 წლიდან 60 წლის ჩათვლით;

პროსტატის კიბოს სკრინინგი - 50-დან 70 წლის ასაკის მამაკაცებს, ექიმის მიმართვის საფუძველზე, ჩაუტარდებათ სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევა;

მსხვილი ნაწლავის სკრინინგი - 50-დან 70 წლის ასაკის ქალბატონებისა და მამაკაცებისთვის.

მიეძღვნა ვაჟა ფშაველას 160 წლისთავს

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ბიბლიოთეკაში, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გაკვეთილი გაიმართა, რომელშიც სენაკის I, II, III, VII, აფხაზეთის VII საჯარო სკოლების, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის, სკოლა-ლიცეუმის, კერძო სკოლა „მარიოტას" და, პირდაპირი ჩართვით, გენიოსის თვალსაჩინო პერსონაჟის, ალუდა ქეთელაურის მშობლიური სოფლის - შატილის საჯარო სკოლის მე-11 კლასელები ღებულობდნენ მონაწილეობას.

გაკვეთილს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, ამავე სამსახურის უფროსი სპეციალისტი ირმა კუპრეიშვილი და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აქტივობაში ასევე ჩართული იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ექსპერტ-კონსულტანტი მაია ინასარიძე, პროექტის - „ასწავლე საქართველოსთვის" მენეჯერი ლალი წიკლაური და ამავე პროექტის კოორდინატორი თამთა ნაცვალაძე.

გაკვეთილს, რომელიც ვაჟა-ფშაველას უკვდავი პოემების - „ალუდა ქეთელაურისა" და „სტუმარ-მასპინძლის" ანალიზს მიეძღვნა, სენაკის ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლისა და შატილის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები - ნანა თავართქილაძე და თამილა ნადირაშვილი უძღვებოდნენ.

მოსწავლეებმა წარმოაჩინეს ვაჟას ბუმბერაზი გმირების სულიერი კათარზისის თანმიმდევრული ისტორია, თემის არაჰუმანურ ტრადიციებთან მათი დაპირისპირების ტრაგიკული მარტოსულობა.

ღონისძიების დასასრულს, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა გივი მისაბიშვილმა, მოსწავლეებს საჩუქრად წიგნები გადასცა.

სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია სენაკში

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეშვილს, პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას და მერიის სამსახურების უფროსებს შეხვდა.

შეხვედრაზე, სახელმწიფო რწმუნებულმა, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე, მოსახლეობასთან უშუალო, ინტენსიურ კომუნიკაციასა და არსებული გამოწვევების დროულ რეაგირებაზე ისაუბრა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, შხეფის ციხემდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს,

ასევე, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო

მუნიციპალიტეტს თანამედროვე ტიპის გრეიდერი გადაეცა

ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა, საქართველოს ეროვნული გვარდიის მხარდაჭერით, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტს თანამედროვე ტიპის გრეიდერი გადაეცა.

პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, აშშ-ს საელჩოს ორმხრივი ურთიერთობების ოფიცერს, მაიორ დანიელ სეკულას, პროექტის მენეჯერს - თამარ რურუას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის 102-ე ქვეითი კადრირებული ბატალიონის წარმომადგენლებს - მასტერ სერჟანტ ლევან ჟვანიას, უფროს სერჟანტ რამაზ ფონიავას და უმცროს სერჟანტ გიორგი ალანიას შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი პროექტის მნიშვნელობას და მასშტაბურობას შეეხო. აღნიშნული ტექნიკა, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საგრძნობლად გააუმჯობესებს საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოწყობის, საჭიროების შემთხვევაში, გაწმენდის სამუშაოებს; ასევე მნიშვნელოვანია, საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნისა და მათზე დროული რეაგირების განხორციელების თვალსაზრისით.

აშშ-ს საელჩოს ორმხრივი ურთიერთობების ოფიცერმა, მაიორმა დანიელ სეკულამ, სენაკის მუნიციპალიტეტთან შემდგომი თანამშრომლობისთვის მზაობა გამოთქვა

მეხუთე ბაგა-ბაღის სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია

ბავშვების განათლება და განვითარება ბაღიდან იწყება - ვაშენებთ, ვარემონტებთ ბაღებს, ვაუმჯობესებთ პირობებს, რათა პატარებს და მათ აღმზრდელებს სათანადო გარემო შევუქმნათ.

სენაკში, ჯიხას ქუჩაზე მდებარე, გასული საუკუნის 50-იან წლებში აგებული N5 ბაგა-ბაღის ამორტიზებული შენობის ადგილზე ახალი ბაგა-ბაღი ავაშენეთ.

ახალი სასწავლო წლიდან, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება 60 აღსაზრდელს მოემსახურება.

შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

სენაკში ასევე ვაშენებთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, 100 აღსაზრდელზე გათვლილ N4 საბავშვო ბაღს.

ვგეგმავთ N3 და N7 ბაგა-ბაღების მშენებლობას.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი შენდება

ახალი სასწავლო წლიდან, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი N4 საბავშვო ბაღი 100 აღსაზრდელს მოემსახურება.

შენობა ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

პროექტს ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC), საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებს.

ამავე პროექტის ფარგლებში, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე რეაბილიტირდა საბავშვო ბაღი „ოცნება".

სენაკში ასევე აშენდა 60 აღსაზრდელზე გათვლილი, საჭირო ტექნიკით, ინვენტარით, ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილი სააღმზრდელო დაწესებულება - N5 ბაგა-ბაღი.

იგეგმება N3 და N7 ბაგა-ბაღების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

იმუნიზაციის პროცესი სენაკში

რაოდენ დასანანიც არ უნდა იყოს ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ ბოლო ორი წელიწადი კოვიდ 19-ზე აქტუალური თემა არ არსებობს და დიდია საზოგადოების ინტერესი ამის ირგვლივ. სწორედ ამიტომ ჩვენ ვეწვიეთ სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებას, სადაც აქტიურად მინდინარეობს იმუნიზაციის პროცესი. ჩვენს ქალაქში ვაქცინა უკვე გაიკეთეს, როგორც მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელობამ ასევე მისმა თანამშრომლებმა. გარდა ამისა რაიონის ეპიდემიოლოგებმა და საზოგადოებირივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებმა. ეს ერთგვარი მაგალითის მიმცემი ფაქტია ჩვენი მოსახლეობისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ჩვენ დილიდან ვიმყოფებოდით და ვესწრებოდით ვაქცინაციის პროცესს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, იქ აცრის გასაკეთებლად იმყოფებოდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. შეიძლება ითქვას აქტივობა იყო საშუალოზე მაღალი, რაც საკმაოდ იმედისმომცემია.

იმუნიზაციის პოცესთან დაკავშირებით ვესაუბრეთ სამედიცინო დაწესებულების დირექტორს, პოლიკლინიკის რეანიმატოლოგს ბატონ მურმან ბოჯგუას.

მურმან ბოჯგუა -- ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი.

მოგეხსენებათ, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში, მხოლოდ ჩვენთან კეთდება ვაქცინაცია. დავიწყეთ ასტრაზენეკას ვაქცინით, მაგრამ იმ სამწუხარო ფაქტის შემდეგ, რაც მოხდა აცრის გაკეთების დროს ახალციხეში, ეს ვაქცინა აღარ კეთდება პოლიკლინიკებში და აკეთებენ მხოლოდ სტაციონარებში. სადაც აქვთ გადაუდებელი დახმარების რეანიმაციული განყოფილებები. ჩვენთან კი ამჟამად ამბულატორიულად კეთდება სინოფარმი და სინოვაკი. ივლისის თვეში უკვე ჩვენს მოსახლეობას ექნება არჩევანის საშუალება, რადგან შემოდის სხვადასხვა ვაქცინები. ეს იქნება ფაიზერი, სინოვაკი, სინოფარმი და ასტრაზენეკა.

მომართვიანობა აცრის გაკეთებაზე დღეისათვის საბედნიეროდ მომატებულია წინა პერიოდთან შედარებით. ივნისის დასაწყისისთვის გაკეთებული გვაქვს 460 დოზაზე მეტი. რაც შეეხება ვაქცინაციის შემდგომ რეაქციებს, არანაირ გართულებას ადგილი არ ჰქონია, ყველა პაციენტი აცრის შემდეგ ყოვნდება პროტოკოლის მიხედვით. გვქონდა მხოლოდ უმნიშვნელო, მცირე რეაქციები, რაც ჩვეულებრივად ბუნებრივია ვაქცინის გაკეთების შემდეგ.

ეხლა რაც შეეხება უშუალოდ ვაქცინაციის პროცესს. როგორც ვიცით არსებობს საიტი boking.moh.gov.ge სადაც შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია ნებისმიერმა მსურველმა, მაგრამ სამწუხაროდ ამ საიტით დარეგისტრიტება ზოგიერთისთვის სირთულეს წარმოადგენს და ზოგჯერ გარკვეული ხარვეზებით მიმდინარეობს, ამიტომ მათთვის უფრო მარტივია მოგვამართონ პოლიკლინიკაში, რადგან ისინი ჩვენთან ღებულობენ სრულ ინფორმაციას მედიკამენტებისა და ვაქცინების შესახებ. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ ამ მეტად რთული მდგომარეობის დროს სწორად დავაკვალიანოთ ჩვენი პაციენტები.

აღსანიშნავია და მეტად მნიშვნელოვანი ისიც, რომ ჩვენი სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რაც უშუალოდ სჭირდება ვაქცინაციის პროცესის გამართულად და უსაფრთხოდ მიმდინარეობას. პოლიკლინიკაში გვაქვს, როგორც მართვითი სუნთქვის აპარატი ასევე ჟანგბადი, ადრენალინი და ვიცით გადაუდებელი დახმარების შემთხვევაში, თუ რა უნდა გაკეთდეს სწრაფად. პირადად მე ვარ რეანიმატოლოგი და პროცესებს ვმართავ მყისიერად. გარდა ამისა მყავს სამი გადამზადებული ბრიგადა, ვინც უძღვება უშუალოდ ვაქცინაციის პროცესს. მომართვიანობის გაზრდის შემთხვევაში თუ საჭირო გახდა შემიძლია გადავამზადო კიდევ რამდენიმე ბრიგადა.

და ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დასტაბილურების გზა ახლა ვაქცინაციის ტემპის დაჩქრებაზე გადის. ეს უდაოა და ორი აზრი ამის შესახებ არ არსებობს. პირადად მე ვიყავი ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გავიკეთე აცრა და უკვე აცრილი ვარ ასტრაზენეკას ვაქცინის ორი დოზით. ვარ მშვიდად გამომდინარე იქიდან, რომ ვიცი თუნდაც ვირუსით დაინფიცირების შემთხვევაში, ჩემი ორგანიზმი შეძლებს შეწინააღმდეგებას და ვირუსს ადვილად გავუმკლავდებით. ამიტომ მინდა მოვუწოდო ყველას დროულად გავიკეთოთ აცრა, რადგან ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი. მხოლოდ ამის შემდეგ დავიბრუნებთ ძველი ცხოვრების რიტმს.

ინტერვიუს ჩაწერის დროს ჩვენ გავესაუბრეთ იმ ადამიანებს, რომლებიც იკეთებდნენ აცრას. ვთხოვეთ გაეკეთებინათ კომენტარი ჩვენი მკითხველისთვის.

ნანა ალანია სენაკის საკრებულოს წევრი-. უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ მძიმე და დაუნდობელი ვირუსის დამარცხების ერთადერთი საშუალება და გადარჩენის წყარო არის იმუნიზაციის პროცესი. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მე დღეს ავიცერი სინოფარმის ვაქცინის პირველი დოზით. თავს ვგრძნობ ძალიან კარგად. ყველას მოვუწოდებ ჩაერთონ ამ პროცესში და ერთად გადავარჩინოთ სიცოცხლე. მხოლოდ ეს თუ გადაგვარჩენს ამ ძნელბედობის ჟამს. დარწმუნებული ვარ, ყველას მოგენატრათ ნორმალური ცხოვრება. მის დასაბრუნებლად კი აუცილებელია კოვიდის დამარცხება. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას და სიმშვიდეს.

დამირ კუჭავა სენაკის საპატიო მოქალაქე – იმუნიზაციის დასაწყისში საკმაოდ მძიმე ფაქტი მოხდა და ხალხი შეაშინა. ჩემი აზრით, მხოლოდ ეს იყო მიზეზი აცრის დაბალი აქტივობისა. საბედნიეროდ დღეს ეს ასე არ არის. ძალიან დასანანი და სამწუხაროა, რომ ჩვენს პატარა სენაკში, იმდენი ლამაზი და საყვარელი ადამიანი გარდაიცვალა ამ მძიმე ვირუსით, გახსენებაც კი უდიდეს ტკივილს მაყენებს. სწორედ ეს უბედურება რომ დასრულდეს და გადავრჩეთ, ამიტომ უნდა გავიკეთოთ აცრა. მე დღეს მეორე დოზით ვიცრები და ვთვლი, რომ ჩემო ვალი მოვიხადე. ამით ვიცავ, როგორც საკუთარ ისე ჩემი ოჯახისა და ახლობლების სიცოცხლეს. სწორედ ამისკენ მოგიწოდებთ ყველას მივხედოთ საკუთარ თავს, საკუთარ ოჯახებს და ჩვენს სენაკს.

და ბოლოს მინდა ავღნიშნო ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი და მადლობა გადავუხადო სამედიცინო დაწესებულების თითოეულ თანამშრომელს, ასეთი დამოკიდებულებისათვის, პროფესიონალიზმისა და სითბოსთვის, რომელსაც იჩენთ თითოეული პაციენტისადმი. გისურვებთ ჯანმრთელობას.

ნონა მაჭარაძე მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგი — მასწავლებლებს ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობა გვაქვს მოზარდ თაობასთან, ახალგაზრდებთან. მოსწავლეები დიდ დროს ატარებენ სკოლაში. დახურულ სივრცეში გვიწევს ხანგრძლივი ურთიერთობა, ამიტომაც საჭიროდ ჩავთავლე ვაქცინის გაკეთება. აცრით ჩვენ ვიცავთ ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოებას და ვაზღვევთ როგორც ჩვენი, ასევე ჩვენი ოჯახების და ახლობელების სიცოცხლეს. ამიტომაც მიზანშეწონილად ვთვლი მივმართო ყველა ჩვენს კოლეგას, დროულად გაიკეთოს ვაქცინა.

თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიო თანხმდება, რომ ვაქცინაცია არის საუკეთესო პრევენცია, რომელიც ყოველთვის, სჯობს მკურნალობას. ვაქცინაციით ჩვენ ვაზღვევთ ჩვენს ჯანმრთელობას და ვდგებით სიცოცხლის მხარეს.

ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით ვაქცინები, რომლებიც შემოდის ჩვენს ქვეყანაში გახლავთ მაღალი ხარისხის, ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული. ეს ვაქცინები იცავს ჩვენი და ჩვენი შვილების სიცოცხლეს. ამიტომ სასიცოცხლოდ მინშვნელოვანია იმუნიზაციის პროცესის გააქტიურება და ბოლომდე მიყვანა.

მარიკა მიქაბერიძე

„ერთად შევქმნათ ფერადი სამყარო“

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე რეგულაციების დაცვით აღინიშნა სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ.ახალსოფლის საჯარო სკოლაში. სკოლისსპეც. მასწავლებლის ნაზიბროლა წულეისკირის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ერთად შევქმნათ ფერადი სამყარო". კონცერტის დაწყებამდე ნაზიბროლა მასწავლებელმა და სხვა პედაგოგებმა მიულოცეს ბავშვებს ბავშვთა დაცვის დღე, უსურვეს ლაღი, უზრუნველი, მშვიდობიანი ბავშვობა.

კონცერტის მონაწილე მოსწავლეები გემოვნებით შერჩეული ცეკვებითა სიმღერებით წარსდგნენ წარსდგნენ თანატოლებისა და პედაგოგების წინაშე.

ღონისძიების დამთავრების შემდეგ სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები ესტუმრნენ ა(ა) „ლაზარე 2015'-ის დღის ცენტრს.

ბავშვები - ეს ხომ ყველაზე ძვირფასია რაც გაგვაჩნია! ამიტომაც აუცილებელია მათზე ზრუნვა და შრომა იმისათვის, რომ მათი ცხოვრება იყოს რაც შეიძლება უკეთესი. ბავშვთა დაცვის დღე კიდევ ერთხელ გვახსენებს რომ მხიარული და ბედნიერი ბავშვობა უნდა ჰქონდეს ყოველ ბავშვს! მათი ღიმილი და ბედნიერი სახეები ხომ ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამქვეყნად.

დღევანდელი დღე კი სწორედ ამას ემსახურებოდა. მადლობა ქალბატონ ნ.წულეისკირს ამ ლამაზი დღის ორგანიზებისათვის. კიდევ მრავალი თაობა აღზრდილიყოს ჩვენი სკოლის კედლებში „ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ".

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ბავშვს მივულოცო ბავშვთა დაცვის დღე და ბედნიერი ბავშობა ვუსურვო.

დ. გოგიჩაიშვილი,
პედაგოგი

მადლობას გიხდით

კლინიკა „სენამედი" მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კვალიფიციური მედპერსონალით, თანამედროვე ლაბორატორიით რეგიონში წარმატებული კლინიკაა, სადაც ჩემს შვილს ჩაუტარდა საკმაოდ რთული ოპერაცია. მიხარია, რომ ექიმთა დიდი პროფესიონალიზმით, გულმოდგინებითა და სიყვარულით ის გადარჩა. მადლობა მინდა ვუთხრა „სენამედის" მედპერსონალს, განსაკუთრებით ქირურგებს: ირაკლი უბილავას და ილია ჯაფარიძეს, მიმღებ ექიმს ნინო მგალობლიშვილს. ღმერთს ებარებოდეთ. უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ჩემი ოჯახის სახელით. გისურვებთ დიდხანს ყოფილიყავით უფლისა და ადამიანების სამსახურში! თქვენი შრომა და პროფესიონალიზმი ჩვენი ჯანმრთელობით დაფასებულიყოს, რამეთუ არაფერია თქვენნაირი მადლიანი ექიმებისთვის იმაზე დიდი ჯილდო, ვიდრე სიცოცხლით გამარჯვებული მადლიერი პაციენტის სიყვარული!"

მანანა წოწერია

ირაკლი ექიმს!

მინდა მადლობა გადავუხადო ექიმ-კარდიოლოგ, ბატონ ირაკლი ცხვიტავას, ჩემი ოჯახის წევრის მიმართ გამოჩენილი დახმარებისათვის, იმ ადამიანობისთვის, რომელიც მას გააჩნია. პროფესიონალიზმზე აღარაფერს ვამბობ, ამაზე ბევრი ექიმი დებს თავს, თუმცა ადამიანური მიდგომა ძალიან ცოტას თუ შეუძლია. ირაკლი ის არის ექიმი, რომლის პიროვნებაში კონცენტრირებულია ყველანაირი ადამიანური თვისება: უბრალოება, გულისხმიერება და კეთილსინდისიერება, ნებისმიერ პაციენტთა თუ მოყვასთა სიყვარული. ის არის ექიმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობით, რომელიც მუდმივად ზრუნავს სხვა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

ღმერთმა გვიმრავლოს საქართველოში თქვენისთანა პროფესიონალები საქმესა და ადამიანობაში. დალოცვილი ყოფილიყოს თქვენი მარჯვენა, იხარეთ და იდღეგრძელეთ!

ნათია ბულია

„კუჩხიბედინერი - 2021“

სენაკში, ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ–კონკურსი „კუჩხიბედინერი – 2021”, მეექვსედ ჩატარდა

13 ივნისს, სენაკის ცენტრალურ მოედანზე, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია „კუჩხიბედინერის” ორგანიზებით - ფესტივალ-კონკურსის დამფუძნებელი, ქორეოგრაფი ზვიად გვასალია, მეექვსედ გაიმართა ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ–კონკურსი „კუჩხიბედინერი – 2021”.

„როკვით განფენილი გენიის” დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქალაქ ფოთის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ლაზიკამ” – სამხატვრო ხელმძღვანელი გიგლა თურქია, ქორეოგრაფები: მარინა ფხაკაძე, ლაშა და შოთა ჩოფლიანები; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ცისკარი” - სამხატვრო ხელმძღვანელი რომეო ბულია, ქორეოგრაფები: მაკა გვიჩია, რობერტ ბულია; მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „კოლხიდამ” - სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ბართია, ქორეოგრაფები: თეა მიქიაშვილი, ზაზა ჯანაშია, კახა ბართია;

ხობის მუნიციპალიტეტიდან - ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „კავკასიონი” - ქორეოგრაფი მალხაზ მაკარაძე, „მართვე”, „აისი” - ქორეოგრაფი ჯამბულ ქარდავა;

სენაკის მუნიციპალიტეტიდან - ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ოცნება” – ქორეოგრაფი ჯამბულ ქარდავა, „ლილე” - ქორეოგრაფი მაია ქვარცხავა, „მეკვლე” - ქორეოგრაფი ლაშა ქარჩავა, „კუჩხიბედინერი”, „მარდი” - ქორეოგრაფი ზვიად გვასალია, „სენაკი” - ქორეოგრაფები: გიორგი ბუკია, ზვიად გვასალია.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ - ჟიურის თავმჯდომარე: საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტი ალეკო ქართველიშვილი, წევრები - საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ლატავრა ფოჩიანის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქართული კულტურის ამაგდარი და დესპანი, ბრწყინვალების ორდენის კავალერი, სახალხოსანიმუშო ანსამბლ „ლომისის” ქორეოგრაფი და სამხატვრო ხელმძღვანელი, თამარ მელიქიშვილი; ქართული კულტურისა და ქორეოგრაფიის ამაგდარის მედლისა და ბრწყინვალების ორდენის კავალერი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლ „არსიანის” მთავარი ქორეოგრაფი, გიორგი ჭანიშვილი; „სუხიშვილების” ყოფილი სოლისტი, ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი შოთა ჟიშკარიანი, გამოავლინა გრანპრის, პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელი ქორეოგრაფიული ანსამბლები და საუკეთესო სოლისტის ნომინანტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავე, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, სენაკის საპატიო მოქალაქე შალვა (ჯამუ) გარუჩავა, საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის გამგეობის წევრი, ქართული კულტურის მოამაგე, მურმან გამისონია, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავე მელსი გრიგოლია, ქორეოგრაფიული სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები.

„კუჩიბედიბერი 2021-ის” საკონკურსო ნომრები შემდეგი კრიტერიუმებით შეფასდა: სადადგმო მიგნება, სოლისტის საშემსრულებლო მანერა და გამომსახველობა, სცენური კულტურა და ანსამბლურობა, მუსიკალური მიგნება შესაბამისი შინაარსობრივი დატვირთვით.



ჟიურის გადაწყვეტილებით, „კუჩხიბედინერი – 2021-ის” გრან-პრი წილად ხვდა ჯანო ბაგრატიონის სახელობის ფოთის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ლაზიკა” – სამხატვრო ხელმძღვანელი გიგლა თურქია, ქორეოგრაფები: მარინა ფხაკაძე, ლაშა და შოთა ჩოფლიანები.

ფესტივალ-კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი გახდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ”ცისკარი” - სამხატვრო ხელმძღვანელი რომეო ბულია, ქორეოგრაფები: მაკა გვიჩია, რობერტ ბულია.

„კუჩხიბედინერი - 2021-ის” მეორე ადგილი მოიპოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „კოლხიდამ” - სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ბართია, ქორეოგრაფები: თეა მიქიაშვილი,ზაზა ჯანაშია, კახა ბართია. ფესტივალ-კონკურსის მესამე ადგილის მფლობელი გახდა სენაკის მუნიციპალიტეტის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოცნება” - ქორეოგრაფი ჯამბულ ქარდავა.

ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ–კონკურსის „კუჩხიბედინერი – 2021-ის” საუკეთესო სოლისტის ტიტული წილად ხვდა ჯანო ბაგრატიონის სახელობის ფოთის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაზიკას” სოლისტს, ზაზა მალაზონიას.

ფესტივალის მონაწილე ქორეოგრაფიულ ანსამბლებს გადაეცათ პრიზები და დიპლომები.

„კუჩხიბედინერი 2021” ტატა სიჭინავას მიყავდა.

ფესტივალ-კონკურსი „კუჩხიბედინერი 2021” რეგულაციების დაცვით ჩატარდა და თავის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს მომავალ წლამდე დაემშვიდობა.

მ. ეჯიბია

სპორტი

ძიუდო

8-30 მაისს ქ. გურჯაანში დასრულდა ლ. მღებრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2006-2008 და 2009-2011 წლებში დაბადებულ კადეტთა შორის. ტურნირში წარმატებით იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა: ალექსი გულუამ (30 კგ. წ / კ.) და ილია გარუჩავამ(42 კგ. წ / კ.) დაიკავეს მეორე ადგილი. მწვრთნელ- მასწავლებლები: გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა.

ვულოცავთ გამარჯვებას სპორტსმენებს და ვუსურვებთ წარმატებებს.

მაგიდის ჩოგბურთი

სენაკის მაგიდის ჩოგბურთის კლუბში სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მწვრთნელ - მასწავლებლის კობა ჩხიკვაძის ორგანიზებით ჩატარდა ორი ტურნირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს.

ტურნირში გოგონათა შორის მონაწილეობდა თბილისის, სენაკის, ფოთის და ლაგოდეხის 18 სპორტსმენი., რომელთა შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: პირველი ადგილი დაიკავა ნათია კაციტაძემ (თბილისი.) მეორე ადგილი- ანა ღვინჯილიამ (სენაკი.),მესამე ადგილზე კი მარი ტყებუჩავა გავიდა. (სენაკი.)

”ელიტ-ლიგის,, მე-5 გათამაშების შედეგები ასეთია: პირველი ადგილი კობა ჩხიკვაძე (სენაკი.), მეორე ადგილი ოთო თაბუკაშვილი (თბილისი.). მესამე ადგილი დათო გეგენავა (სენაკი.)

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

ტურნირი ჩატარდა რეგულაციების სრული დაცვით. ყველა მონაწილემ გაიარა თერმოსკრინინგის პროცედურა.

ვულოცავთ მათ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს.

ირინე გაგუა,
სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი

ქალთა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

პირველად საქართველოში 17 ივნისს აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში ჩატარდა, ქალთა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში 2008-2009 წლებში დაბადებულ ქალთა შორის. ტურნირში იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოჭიდავე ძიუდოისტებმა, ასახელეს სენაკი და 2 ოქროს და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველი ადგილები დაიკავეს, ანანო კინწურაშვილმა და მარი ფარულავამ.

მეორე ადგილი მოიპოვა ნინო მამულიამ.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. ტურნირში მონაწილე სამივე სპორტსმენი საქართველოს ნაკრების წევრები გახდა.

მწვრთნელ - მასწავლებლები: გელა ხარბედია და უჩა ჯღარკავა. ვულოცავთ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს, უდიდეს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს შემდგომ ასპარეზობებზე.

ტაეკვანდო

4-6 ივნისს, ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი - ტაეკვონდოს ოლიმპიურ სახეობაში.

ტურნირში იასპარეზეს სენაკის სასპორტო გაერთიანების სასპორტო სკოლის ტაეკვონდოს ჯგუფის სპორტსმენებმა: ანი უბილავამ, ნიკოლოზ ჯოჯუამ და ლუკა ნინუამ.

ნორჩმა სპორტსმენებმა მესამე საპრიზო ადგილები მოიპოვეს.

ტურნირში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და დიპლომებით. მწვრთნელ- მასწავლებლები: მორის სანაია და ელისო გურგენიძე.

ანი უბილავას, ნიკოლოზ ჯოჯუას და ლუკა ნინუას ვულოცავთ მოპოვებულ გამარჯვებას.

პანდემია და რეალობა



დღევანდელი ნომრის სტუმარია სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ანა ჭიჭაღუა, რომელიც გვესაუბრება ჩვენს ქალაქში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესახებ.

ქალბატონო ანა, რამდენადაც ცნობილია პანდემიის პირობებში საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი სენაკის განყოფილება საკმაოდ შრომატევად და რთულ სამუშაოებს ეწევა, როგორ შეძელით გამკლავებოდით ამ სიძნელეებს და გამოწვევებს.

როგორც ყველასთვის ცნობილია, პანდემიამ მოიცვა მთელი მსოფლიო და შეცვალა ჩვენი ცხოვრების რეალობა. ეს პერიოდი ურთულესი აღმოჩნდა თითოეული ადამიანისთვის, განსაკუთრებით რთულია ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებისთვისა და მედ. პერსონალისთვის. ეს იყო ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლესთან.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი საკმაოდ შრომატევად და რთულ სამუშაოს ეწევა და ურთულესი მუშაობის რეჟიმშია ჩართული. პანდემიის დაწყების დღიდან დღემდე ვმუშაობთ აქტიურად. მიმდინარეობს გეგმიური და არაგეგმიური კონტიგენტის სწრაფი ანტიგენითა და პისიარ ტესტირება. გეგმიური შ.ს.ს. თანამშრომლებზე, მედ პერსონალზე, პედაგოგებზე, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლებზე, რელიგიის მსახურებზე, ტაქსის მძღოლებზე, სიმპტომიან და თვითდინებით მოსულ ბენეფიციარებზე. აქტიურად მიმდინარეობს პაციენტებისა და მათი კონტაქტების მოკვლევა. ჩვენი თანამშრომლები მართლაც რომ თავდაუზოგავად ვშრომობთ ყველა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და ქვეყნის დასაცავად.

როგორია ბოლო მონაცემებით ეპიდემიოლოგიური მდგომარება სენაკის მუნიციპალიტეტში.

ბოლო მონაცემებით სენაკის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მხრივ სიტუაცია გაუმჯობესებულია. შედარებით შემცირდა covid 19-ის ვირუსით დაინფიცირებული პაციენტების რაოდენობა, შესაბამისად თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანების რაოდენობაც შემცირებულია. პანდემიის დაწყების დღიდან დღემდე გვქონდა 3355 დადებითი შემთხვევა. სამწუხაროდ მათგან 47 ადამიანი გარდაცვლილია, აქტიურ ფაზაში იმყოფება 25 ადამიანი, თვითიზოლაციაში – 28, გამოჯანმრთელებულია 3283 ადამიანი.

დაფიქსირდა თუ არა სენაკის სინამდვილეში კორონავირუსის ახალი შტამები. და არის თუ არა ადგილზე მათი გამოკვლევის შესაძლებლობა.

სენაკის მუნიციპალიტეტში კორონავირუსის ახალი შტამები არ არის დაფიქსირებული. საეჭვო სიტუაციის შემთხვევაში გვაქვს შესაძლებლობა ნიმუშები ავიღოთ და გადავაგზავნოთ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სადაც მოხდება ახალი შტამების განსაზღვრა.

იგეგმება თუ არა თანამშრომლების გადამზადება და დატრენინგება და აკმაყოფილებს თუ არა სამსახური თავისი ინვენტერითა და სამედიცინო აღჭურვილობით სათანადო მოთხოვნებს.

ჩვენ ვცხოვრობთ ვირუსებისა და ბაქტერიების საუკუნეში, რაც თავისთავად ზრდის მათი გავრცელების რისკებს. სენაკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლების რაოდენობა, ამჟამინდელი მდგომარეობით, სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და არ არის გათვალისწინებული შტატების გაზრდა.

პერიოდულად გავდივართ საჭიროების მიხედვით თანამშრომლების გადამზადებასა და დატრენინგებას. სამსახურში არსებული ინვენტარი და სამედიცინო აღჭურვილობა აკმყოფილებს სათანადო მოთხოვნებს.

თქვენ როგორც ჩვენი ქალაქის ყველაზე საპახისმგებლო სამსახურის ხელმძღვანელი, რას ურჩევთ და უსურვებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივმართავ თხოვნით, გამოიჩინონ მეტი გულისხმიერება, ყურადღება, მაქსიმალურად დაიცვან ყველა ის რეკომენდაცია, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერაა მოწოდებული. დახურული სივრცეში ატარონ პირბადე, დაიცვან დისტანცია, ხშირად დაიბანონ და დაიმუშაონ ხელები სადეზინფექციო საშუალებებით. ახალი რეკომენდაციით ღია სივრცეში პირბადის ტარების აუცილებლობა მართალია მოიხსნა, მაგრამ ეს არ ნიშნავს სხვა, ზემოთ აღნიშნული მოწოდებული მოთხოვნების არ გათვალისწინებას.

როგორც ავღნიშნეთ, პანდემია მსოფლიო პრობლემაა ის აუცილებლად დაიძლევა და დასრულდება თუ თითოეული ჩვენთაგანი გავითავისებთ, მოვინდომებთ და განვახორციელებთ ყველა მოწოდებულ მოთხოვნას, რეკომენდაციას და აუცილებლად ჩავერთვებით იმუნიზაციის პროცესში.

მ. შამათავა

საპატიო წოდება

საქართველოს კულტურისა და ხელოვნების კავშირის „არტ-ფოლკის" გადაწყვეტილებით, ქართული კულტურის, ხელოვნების პოპულარიზაციისა და მისი განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, თეა გრიგოლია „ხელოვნების ალამდარის" საპატიო წოდებით დაჯილდოვდა.

გულოცავთ!

ჩვენს კოლეგას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროს ქალბატონ **თეა გრიგოლიას** ვულოცავთ საპატიო ტიტულს – „ხელოვნების ალმადარის" წოდებას.

სულით და გულით გვინდა გისურვოთ ახალი წარმატებები, ძალა და ძლიერება, რომელიც სიახლეების წვდომით და მიზანდასახულობით მიიღწევა. გილოცავთ და გვჯერა რომ თქვენი ბიოგრაფია კვლავაც ახალი ფურცლებითა და ღირსახსოვარი ფაქტებით შეივსება.

გაზეთ „კოლხეთის" რედაქცია

ყველა პრობლემას მავიწყებენ

შვილები უფლის ყველაზე დიდი საჩუქარია, დედობა კი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. პასუხისმგებლობა ორმაგად იზრდება როცა ტყუპები იბადებიან.

2021 წლის 21 თებერვალს ქეთევან ქაჩიბაიასა და კახა ბოხუას ოჯახში ტყუპები დაიბადნენ: ელე და მია ბოხუები. პატარები უკვე ოთხი თვის არიან, თავიანთ ენაზე ღუღუნებენ, „ცელქობენ" კიდეც.

როგორც პატარების დედა ამბობს: „სირთულეების მიუხედავად ძალიან დიდი ბედნიერებაა ტყუპი შვილების ყოლა. დაღლა და ყველა პრობლემა მავიწყდება, როცა თავისი პაწაწინა ხელებით გეპოტინებიან, გიცინიან, თავისებურად „გიბრაზდებიან". ეს ძალიან მაბედნიერებს".

ვუსურვებთ ელე და მია ბოხუებს ბედნიერ ბავშვობას, გაიზარდეთ უფალმა ჭკვიან, ძლიერ და სახელოვან ქართველებად.

მ. შონია

შეზღუდვები შემსუბუქდა

კოვიდპანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების ნაწილი გაუქმდა – ცვლილებები პირბადის ტარებასა და ე.წ. „კომენდანტის საათს" შეეხო. 22 ივნისიდან, ქუჩაში პირბადის გარეშე სიარულის გამო აღარ დაგაჯარიმებენ, თუმცა, დახურულ სივრცეებში მისი ტარება ისევ სავალდებულოა. 1 ივლისიდან მოიხსნება „კომენდანტის საათიც", თუმცა, კაფეები, რესტორნები და სხვა გასართობი ობიექტები მხოლოდ ღამის 00:00 საათამდე იმუშავებენ.

რა შეზღუდვები მოიხსნა და რა პირობებით

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დღეიდან მოიხსნა და მხოლოდ რეკომენდაციად რჩება პირბადის ტარების ვალდებულება ღია სივრცეში. თუმცა, გამონაკლისია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები – აქ პირბადე ისევ უნდა გეკეთოთ. სხვა დახურულ სივრცეებში პირბადის ტარება ისევ სავალდებულოა.

„გასაგებია, რომ პირბადე აუცილებელი არ იქნება გარე სივრცეებში, მაგრამ ის რეკომენდებულია. ამიტომ, ვისაც უნდა და მიზანშეწონილად მიაჩნია, მან უნდა ატაროს და გეტყვით, რომ მიზანშეწონილია ჯერჯერობით პირბადე ვატაროთ", – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ.

ქუჩაში პირბადის ტარების ვალდებულება ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მოქმედებდა. წესის დარღვევისთვის მოქალაქე 20 ლარით ჯარიმდებოდა.

1 ივლისიდან გაუქმდება კომენდანტის საათიც. მაგრამ, შეზღუდვები ისევ რჩება კვების ობიექტებსა და გასართობ დაწესებულებებთან მიმართებით.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, კვების ყველა ობიექტი: კაფე, რესტორანი, სასტუმროს რესტორანი, ასევე, გასართობი დაწესებულებები, რომლებიც დაკავშირებულია კვებასთან, ღამის 00:00 საათამდე იმუშავებენ.

კომენდანტის საათი, ანუ აკრძალვა გადაადგილებაზე, საქართველოში ნახევარ წელიწადზე მეტია რაც მოქმედებს. 23:00 საათიდან 04:00 საათამდე ქუჩაში გადაადგილება აკრძალულია.

„უნდა ვიპოვოთ ოქროს შუალედი და გავიაროთ დანის წვერზე', – ასე აფასებს ამირან გამყრელიძე შეზღუდვების შემსუბუქებას.

მისი შეფასებით, ამ შეზღუდვებით ერთი მხრივ არ უნდა გაუარესდეს ეპიდსიტუაცია და მეორე მხრივ, განვითარების შესაძლებლობა უნდა მიეცეს ეკონომიკასა და ტურიზმს.

ყველა დაბრკოლება - პროფესიის სიყვარულმა დამაძლევინა

ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, როგორც უმაღლესი კულტურული ღირებულება თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს. ეს ფასდაუდებელი განძი სათუთ მოპყრობასა და დაცვას მოითხოვს. ორ ათეულ წელზე მეტია წელია სენაკში ამ ფრიად კეთილშობილ საქმეს ემსახურება ზვიად გვასალია, რომელიც ხელმძღვანელობს მისივე დაარსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერს". ივნისის თვეში, საქართველოს კულტურისა და ხელოვნების კავშირის ,,არტ-ფოლკის" გადაწყვეტილებით, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვავო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, შემოქმედებითი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქორეოგრაფიული სტუდია ,,კუჩხიბედინერის" სამხატვრო ხელმძღვანელს, ფესტივალ-კონკურსის დამფუძნებელს, ზვიად გვასალიას, ,,ხელოვნების ალამდარის" საპატიო წოდება მიენიჭა. სენაკში მოღვაწე ხელოვანი ასევე არჩეულ იქნა საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის წევრად.

ნიჭიერი, შრომისმოყვარე, სხვებისგან გამორჩეული ქორეოგრაფი ზვიად გვასალია დღეს ჩვენი სტუმარია.

ბატონო ზვიად, სენაკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში თქვენ ითვლებოდით ცეკვა ,,ქართულის" უბადლო შემსრულებლად. როგორ გაიხსენებთ გასულ წლებს?

სენაკის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გატარებული წლები ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ნაყოფიერი და გამორჩეული პერიოდია. ანსამბლში მივიღე უდიდესი გამოცდილება, რაც დამეხმარა შემდგომი პროფესიული სრულყოფის კუთხით. დღემდე, საინტერესო და დატვირთული წლებით მოვედი...

რომელ წელს დაფუძნდა ანსამბლი ,,კუჩხიბედინერი"; რა სიძნელეები გქონდათ თავდაპირველად ანსამბლის ჩამოყალიბების დროს?

ყველაფერი 1997 წელს, ცეკვის უსაზღვრო სიყვარულიდან დაიწყო...

მშობლიურ ქალაქში დავაფუძნე ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,კუჩხიბედინერი".

მართალია, თავდაპირველად იყო სიძნელეები, მაგრამ ხელოვნებისადმი და ჩემი პროფესიისადმი უდიდესმა სიყვარულმა დამაძლევინა ყველა დაბრკოლება.

პირველი წარმატებული დებიუტის შემდეგ, ანსამბლმა განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები განვლო, რამაც შემოქმედებით საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება განაპირობა.

განვლილი 24 წლის მანძილზე, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ფოლკლორის, საესტრადო ხელოვნების, ქორეოგრაფიული ხელოვნების, რესპუბლიკურ, ფოლკლორულ, საერთაშორისო, კოლხურ-ლაზური ფოლკლორული ცეკვისა და სიმღერის ფესტივალ-კონკურსებში.

ანსამბლი ,,კუჩხიბედინერი" დაჯილდოებულია სიგელებით, დიპლომებით, მედლებით, არაერთგზის - ლაურეატის წოდებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში პირველი გრან-პრის მფლობელი ,,კუჩხიბედინერი" გახდა.

ქორეოგრაფიული ანსამბლი სამგზის გრან-პრის მფლობელია - ორგზის გრან-პრი ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მოიპოვა, შემდეგ კი - თურქეთის ქალაქ რიზეში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე.

დაარსებიდან დღემდე ანსამბლის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შორის ასევე აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი მიღწევები:

2012 წლის 23 დეკემბერს, საბავშვო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერს", ,,სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის" წოდება მიენიჭა.

2013 წელს, ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, ანსამბლ ,,კუჩხიბედინერს" წილად ხვდა პირველი ადგილი.

2015 წელს, ზვიად გვასალიამ, სენაკში, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ-კონკურსი დააფუძნა და ანსამბლ ,,კუჩხიბედინერს" მიენიჭა მისი სახელი.

დაარსებიდან დღემდე ანსამბლში ქორეოგრაფიის ხელოვნებას 6000- მდე მოზარდი დაეუფლა.

2008 წლიდან დღემდე, ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" მიერ დაფრთიანებული მოცეკვავეები საქართველოს ფარგლებსა და საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწეობენ.

სენაკის სინამდვილეში, წელს, პირველად, ქუჯის ისტორიულ ციხე-ქალაქში, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" მოცეკვავეებმა ფიცი დადეს.

,,კუჩხიბედინერმა" რეგიონში სამართლიანად დაიმკვიდრა წარმატებული ანსამბლის სახელი - რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

,,კუჩხიბედინერს" საკუთარი ნიშა აქვს, მისეული ხედვა და ხელწერა... მან დაიმკვიდრა ადგილი, გაუძლო დროს, სირთულეებს, კრიტიკას და ორ ათეულ წელზე მეტია სხვადასხვა, განახლებული ვარიაციებით, ხიბლავს მაყურებელს და ანსამბლის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს... წარმატების საიდუმლო კი მხოლოდ და მხოლოდ თავდაუზოგავ შრომაში, საქმისა და თაობების სიყვარულშია...

რა სიძნელეები ჰქონდა ანსამბლს პანდემიის დროს?

როგორც ყველა ანსამბლმა და ხელოვანმა, ჩვენც რთული პერიოდი გამოვიარეთ, თუმცა ონლაინ რეჟიმში მუშაობა არ შეგვიწყვეტია... ბუნებრივია, ონლაინ რეპეტიციები სასურველ შედეგს არ იძლევა, მაგრამ ერთ ადგილას გაჩერებაც, დაუშვებელია...

როგორია თქვენი, როგორც ქორეოგრაფის, როგორც ანსამბლის ხელმძღვანელის სამომავლო გეგმები...

წინ არაერთი საინტერესო პროექტი, ფესტივალი, გასვლითი ტურნეა, სადაც ანსამბლი თავის ღირსეულ სათქმელს კვლავაც იტყვის...

ჩემი უმთავრესი მიზანია, მოზარდი არა მარტო ქართული ცეკვის ხელოვნებას დავაუფლო, არამედ აღვზარდო ტრადიციების სიყვარულით, ეროვნული სულისკვეთებით...

აქვე მინდა მადლობა ვუთხრა ბავშვების, ახალგაზრდა თაობის მშობლებს, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი შვილების ნიჭისა და შესაძლებლობების წარმოჩენაზე. რომ არა მათი თანადგომა, ალბათ გამიჭირდებოდა შეჭიდება იმ სიძნელეებთან, რომელიც თან ახლავს რეპეტიციებს, გასვლით კონცერტებს, ფესტივალებს.

რედაქციის სახელით ვუღოცავთ ბატონ ზვიად გვასალიას დამსახურებული საპატიო ტიტულის-,,ხელოვნების ალამდარის" წოდებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დაოჯახებას, ახალ-ახალ წარმატებებს, არასოდეს დაჰკარგვოდეს ანსამბლ ,,კუჩხიბედინერს" საკუთარი ნიშა და ხელწერა.

მაია გერგაია

ხსოვნა

ბადრი კუპრეიშვილი

ცხოვრობდა, ქმნიდა, აშენებდა... თავის სიტყვას ამბობდა ბიზნესის სფეროში. საზოგადოებაში ენდობოდნენ, ზრუნავდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დასაქმებაზე.

ლამაზი ოჯახის თავკაცი იყო. მისი მოსიყვარულე გული ყველაფერს იტევდა შვილებზე, მეუღლეზე, შვილიშვილებზე, ახლობლებზე მზრუნველობას, მოკეთე-მოყვასისათვის ხელის გაწვდენას, მეგობრების უზომო ერთგულებას.

ნაადრევად წავიდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან. სწორედ მის მსგავს ადამიანებზე უთქვამთ. „დიდხანს და დიდხანს იქნებიან საქმენი მისნი ჩვენდა საოხად, სიტყვანი მისნი ჩვენდა ანდერძად და ხსენება მისნი ჩვენდა საწვრთნელად“...

დასანანია, რომ ამიერად სენაკის ქუჩებში ჩვეული სიდარბაისლით აღარ ივლის ბადრი კუპრეიშვილი. ის ჭეშმარიტად დააკლდა ქალაქს, საზოგადოებას, ოჯახს.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური სენაკის მიწა.

გაზეთ „კოლხეთის“
რედაქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია მწუხარებას გამოხატავს ღირსეული სენაკელის, გამორჩეული ოჯახის საამაყო თავკაცის, საიმედო მეგობრისა და კეთილშობილი ადამიანის

ბადრი კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეშვილს, ოჯახს, ახლობლებს ამ დიდ დანაკლისს. დასანანია, რომ ბადრი კუპრეიშვილის სახით სენაკმა დაკარგა კოლორიტული და საამაყო მოქალაქე, კიდევ ერთი გამორჩეული შვილი. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სიკეთით სავსე სულს

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ლევან კუპრეიშვილს მამის

ბადრი კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო.

სენაკის „საინფორმაციო ცენტრის” თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული სენაკელის

ბადრი კუპრეიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წერილი მამაზე- ვიაჩესლავ (სლავა) გარუჩავაზე

ოთხი წელი გავიდა მამაჩემის - ვიაჩესლავ (სლავა) გარუჩავას გარდაცვალებიდან, რომელიც მოუშუშებელ ტკივილად რჩება ჩვენი ოჯახის მეხსიერებაში, დღენიადაგ გვიმძიმს მისი არყოფნა, მონატრება მოგონებებით დაგვირგვინებულ ნოსტალგიას ბადებს, ნოსტალგიას, რომელიც შვებას მისი განვლილი ცხოვრების წარმოსახვაში პოვებს..

მინდა ჩემს მიერ ადრეულ ასაკში დანახული მამის სახე გადმოვიღო ფურცელზე და ორიოდე სიტყვით წარმოვადგინო ცალკეული ცხოვრებისეული ეპიზოდები. . .

ბავშვობა, ადამიანის ის სოციალური მდგომარეობაა, რომლის ფაქიზ სულს „დაღივით” აჩნდება თითოეული მნიშვნელოვანი მომენტი მისი ამ ჯადოსნური დროის მონაკვეთისა. როდესაც ბავშვობის წლებს ვიხსნებ, ბევრი რამ მაგონდება, დალექილი მეხსიერება უცებ ამოძრავდება, აიშლება, აიმღვრევა და ბოლოს იმ წყალქვეშა შლამის კორიანტელს დაემსგავსება, რომელიც ბევრ ჩვენგანს ექნება ნანახი წყალში ყვინთვისას თვალებგახელილ მდგომარეობაში... პირველი რაც ამ ფიქრთა ქაოსში იფილტრება და ზემოთ ილექება - მშობლებია, რომელთა ჯავშანიც - მზრუნველობითი ხელი, სიკვდილამდე დაჰყვება ადამის მოდგმას. ასე გაივლიან წლები, ათწლეულები და ცხოვრებისეული გამოწვევების სირთულეების ფონზე, მონატრება უზრუნველი წარსულისა, კიდევ უფრო მძაფრდება. უზრუნველობის ერთ-ერთი ძირითადი წყარო დედასთან ერთად ხომ მამაა, რომელზედაც დადებულია ოჯახური კეთილდღეობის შექმნის არც თუ ისე მარტივი ტვირთი, ჰოდა ამ ტვირთს ბოლომდე მხნედ ატარებდა მამაჩემი, რომელიც ოჯახისთვის თავდაუზოგავი ზრუნვით გამოხატავდა დიდ სიყვარულს თითოეული მისი წევრის მიმართ. არ მინდა სტანდარტული ვიყო მისი ბიოგრაფიის გადმოცემისას, აქ არ მოვიყვან დაბადებიდან გარდაცვალებამდე მოღვაწეობის ქრონოლოგიურ ჩამონათვალს, მხოლოდ ბავშვობის მოგონებების რამდენიმე ეპიზოდით მინდა შემოვიფარგლო და ამით ვამოგზაურო ამქვეყნიურ ყოფაში მისი პიროვნება.

ვიხსენებ (ოთხი თუ ხუთი წლის ასაკში), ჩემს მიერ დანახული მამაჩემის სახეს, მის გაბრწყინებულ თვალებს, ჩემი ცქერით კმაყოფილ მამა-შვილურ ემოციას . . . საბავშვო ბაღში ყოფნისას, საღამო საათებში იწყებოდა მოლოდინი მშობლისა, იყო მომენტები, როდესაც მამა მაკითხავდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა - მისი მოახლოვებისას მოვწყდებოდი რიგს, სირბილით მივვარდებოდი მას, ანთებული გრძნობით გადავეხვევოდი, თითქმის ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ვხედავდი . . . იმდენად დიდი იყო მშობლის მიმართ ჩემი ბავშვური განცდა.

მამა ბავშვობაში ერთგვარი მეოხი (დამცველი) იყო და მუდამ ჩემს ვნებებს ლობირებდა ოჯახის სხვა წევრებთან - მინდოდა გარეთ სათამაშოდ გასვლა? - გვერდით მედგა. არ იყო მკაცრი, მაგრამ მისი პიროვნება რიდს იწვევდა. მას მუდამ გულთან მიქონდა ჩემი პრობლემები - მახსოვს, ასე ექვსი წლის ვიქნებოდი, როდესაც თამაშისას ცერა თითი დავიზიანე, დამჭირდა ქირურგიული ჩარევა, თვითონ ესწრებოდა ამ მცირე ოპერაციას, მამხნევებდა, ბავშვურ შიშებს მიქარვებდა, ოპერაციის მსვლელობისას კი თვითონ გახდა ცუდად - ვერ გაუძლო ჩემს წუხილს.

სიყვარული აასმაგებს სიფრთხილეს ობიექტის მიმართ და არც ჩვენს მამა-შვილურ ურთიერთობაში იყო გამონაკლისი - მუდამ მარიგებდა ხიფათს არ გადავყროდი, განსაკუთრებით მდინარის ეშინოდა, ვინაიდან ეზოს ბავშვებთან ერთად ხშირად გავპარულვარ. მოვიყვან ერთ შემთხვევას - მყავდა მეგობარი (ვიქნებოდი რვა ან ცხრა წლის), რომელთანაც მქონდა განსაკუთრებული დამოკიდებულება - მუდამ ერთად ვთამაშობდით, ჩავდიოდით ბავშვურ სიცელქეებს, მათ შორის, „აკრძალული ხილიც” კი ბევრჯერ მოგვიკრეფია, ერთ დილითაც გავიპარეთ მდინარეზე საბანაოდ, გვიანობამდე გაგძელდა ჩვენი „ოდისეა”, მოგვიკითხეს, მოგვიძიეს, მაგრამ არსად ვჩანდით, ბოლოს მამაჩემმა გადაწყვიტა მდინარეზე მოვეძებნე, ის იყო წამოვიდა, როდესაც გზაზე წააწყდა ჩემს მეწყვილე მეგობარს, მარტოდ მომავალს, დაზაგრულს, აშკარად რომ ეტყობოდა მდინარის კვალი, გაუხარდა რომ ნახა, მაგრამ ამავე დროს შეცბა, შეშინდა, დაინახა რა მისი დაბმეული სახე - მიკითხა, როდესაც პასუხად მიიღო თითქოს მას იმ დღეს საერთოდ არ ვენახე, კაცი გაშრა, დრო გაჩერდა, უცბად ტრაგედია წარმოიდგინა... სინამდვილეში კი უკან მოვდიოდი სიფრთხილით, რომ მამაჩემს არ დავენახე და არ დავეტუქსე. ეხლაც თვალწინ მიდგას მისი გამოხედვა, გამოწვეული შიშნარევი ემოციური გრძნობით, ესეც ხომ რაღაც უხილავია და შეუცნობელი.

ზაფხულობით მე და ჩემი და არდადაგებს ნოქალაქევში, მთიან გარემოში ვატარებდით ოჯახის მეგობართან, მამა მუშაობდა, ჩვენთან ხანგრძლივად ვერ ახერხებდა ყოფნას, პერიოდულად - შაბათ-კვირაობით გვაკითხავდა, გვანებივრებდა მოულოდნელობებით - ლაშქრობებით, ათას ტკბილეულს ამოგვიტანდა, მშობლის ალერსს არ გვაკლებდა. მახსოვს, კვირიდან -კვირამდე ჩემი მოლოდინი, დღეებს ვითვლიდი, როდის დადგებოდა შაბათი, მანქანის ხმას ვაყურადებდი, აი, მამაჩემის მანქანის ხმა მომესმათქო, არ მავიწყდება მისი სახე, შეხვედრისას განცდილი თითოეული ემოცია.

ეპიზოდები კიდევ ბევრია, მისი მოყვანა გაცდება წერილი- ჩანახატის ფორმას - უბრალოდ მინდოდა ბავშვური ემოციით დამენახვებინა აუდიტორიისთვის მამაჩემის სახე, რადგანაც ბავშვობა არის დროის ის ანარეკლი, რომელსაც შეუძლია წარმოაჩინოს გულუბრყვილო, მართალი და ნათელი სახე ადამიანისა.

გიორგი გარუჩავა

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეაჩნდების...“

ცხოვრების ყველაზე ტკბილი მოგონება ბავშვობაა და განსაკუთრებით, წლები, როცა დაწყებით ეტაპს ამთავრებ და სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდები... შენთვის სულ სხვა სამყარო იწყება და მომავალს დამფრთხალი შესცქერი... ეს იდუმალი კარები ჩვენ ვარდიშა მასწავლებელმა გაგვიღო... საოცარი სიყვარულითა და დედობრივი მზრუნველობით შეგვიძღვა ახალ, შეუცნობელ ცხოვრებაში.

ძალიან გაგვიმართლა, რომ მის ფრთებქვეშ აღმოვჩნდით, რადგან, საგანთან ერთად გვიტარებდა ურთიერთგატანის, თანადგომის, მოყვასის სიყვარულის და სხვა ადამიანური ღირებულებების გაკვეთილებს, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმკაცრესთან შერწყმული იუმორით... და დაიწყო ცოდნის შეძენის, შემეცნების გამდიდრების, სიკეთისა და სიყვარულის დღესასწაულები...

მიფრინავს წლები... წავიდა ჩვენი კეთილშობილი ვარდიშა მასწავლებელიც, შეუერთდა მარადისობას, მაგრამ მისგან დატოვებული სიყვარულისა და ადამიანობის გამოულეველი საგზალი, დღესაც გვაპურებს და ამ რთულ, დახლართულ წუთისოფელში, სიძნელეების გადალახვის, საკუთარ თავში ადამიანის გადარჩენის, მომავალი გამარჯვებების ძალას და იმედს გვაძლევს.

დაუვიწყარია მრავალი თაობის დამფრთიანებლის, ჩვენი ღვაწლმრავალი დამრიგებლის სახელი და შეუძლებელია იმ მადლიერების გამოხატვა, რომელიც ამ ჭეშმარიტი პედაგოგის მიმართ გაგვაჩნია მის აღზრდილებს. უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს ზეციურ საქართველოში თქვენს სიკეთით აღსავსე სულს, ჩვენო ვარდიშა მასწავლებელო!

ქ. ცხაკაიას N1 საშუალო სკოლის 1986 წლის კურსდამთავრებულები

თამაზ ჭანტურია

სენაკის ინტელიგენციის რიგებს გამორჩეულ ხიბლს მატებდა განათლების დარგის თვალსაჩინო მუშაკის ნოე ჭანტურიასა და რაიონის სამშობიარო კლინიკის მთავარი ექიმის დოდო უჩანეიშვილის ჭეშმარიტად ინტელიგენტური ოჯახი.

შვილებმა, თამაზ და მარინა ჭანტურიებმა მშობლებისგან შეისისხლხორცეს ტრადიციების ერთგულება, სიდარბაისლე, ადამიანებისადმი დახმარების გაწევის სურვილი. დედის პროფესიამ განსაზღვრა შვილების პროფესიული არჩევანი – მედიკოსობა.

ძალიან დასანანია ის ფაქტი, რომ ამ ცოტა ხნის წინ ქართველ მედიკოსთა რიგებს გამოაკლდა თამაზ ჭანტურია. ენერგიული, ჯანმრთელი, გონიერი პიროვნება და კვალიფიციური ექიმი. მისი სიცოცხლე ვერაგმა კოვიდინფექციამ შესწირა.

40 დღე სრულდება მისი გარდაცვალებიდან. თამაზ ჭანტურიამ დაამთავრა სენაკის №2 საშუალო სკოლა. ჩაირიცხა მოსკოვის №2 სამედიცინო ინსტიტუტში. შემდგომ სწავლობდა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; მუშაობდა სხვადასხვა სამედიცინო კლინიკებში. კერძოდ ნ. კახიანის სახელობის რკინიგზის საავადმყოფოში საოპერაციო ბლოკის ხელმძღვანელად. პროფილაქტიკური ცენტრი „გინესის“ კლინიკურ დირექტორად წლების მანძილზე იყო კოლეჯ „ბარაკონის” მოწვეული ლექტორი ქირურგიის დარგში. თამაზ ჭანტურია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში უძღვებოდა საექთნო პრაქტიკის კურსს. გამოირჩეოდა კვალიფიციურობით, კოლეგიალობით.

თავად, საოცრად ლამაზი ჰარმონიული ოჯახით, მეუღლესთან მარიანა მაისურაძესთან ერთად ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა სანათესაოს ერთობისათვის.

მოსიყვარულე მამა იყო, ყურადღებიანი ბიძაშვილი, საუკეთესო მეგობარი.

ძალიან დააკლდა ერთადერთ შვილს ნინიკო ჭანტურიას, დას, ახლობლებს, ბიძაშვილებს, მეგობრებს.

ძმაო თამაზ, შენი ბიძაშვილის ზურაბ ჭანტურიას მეხსიერებიდან არასოდეს გაქრება ურთიერთობის ლამაზი წლების მოგონება.

ისეთი ენერგიული იყავი, შენს გვერდით ყველა დაცულად გრძნობდა თავს. შენი ყოველდღიურობით და მრწამსით ალამაზებდი ახლობლების გარემოს.

გვიჭირს იმის გაცნობიერება, რომ აწ წარსულში მოგვიწევს შენზე საუბარი.

შენ ხომ ყველა გიყვარდა, გულის სითბოს და სიკეთეს უნაწილებდი ყველას.

წახვედი და თან გაიყოლე ჩვენი გულის ნაწილი. უფალს ვთხოვ ნათელი დაუმკვიდროს შენს სხივიან სულს.

ბიძაშვილი ზურაბ ჭანტურია
ოჯახით

გაზეთ „კოლხეთის” რედაქცია თანაუგრძნობს თამილა ბურსულაიას მამის
აფრიკო ბურსულაიას
გარდაცვალების გამო.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფოტოკოლაჟი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ“
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499